

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„სავანე“-ს

წესდება

ქალაქი ახალციხე

(2014 წლის 22 აგვისტოს რედაქცია)

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავანე“ (შემდგომში საზოგადოება) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. საზოგადოება წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.3. საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდებაა: „ქალაქ ახალციხის სავანე“.
- 1.4. საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).
- 1.5. საზოგადოების დამფუძნებელია: ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში მერია) იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. N2. საიდენტიფიკაციო ნომერი 224095903, რეგისტრაციის თარიღი 17.07.2014წ.
- 1.6. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. N2.
- 1.7. საზოგადოების ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქალაქი ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. N2.
- 1.8. საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართია: [g.axalcixissavane@mail.ru](mailto:g.axalcixissavane@mail.ru)
- 1.9. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

### მუხლი 2. სამართლებრივი მდგომარეობა

1. მეწარმე სუბიექტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავანე“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავანე“-ს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საფირმო და სასაქონლო ნიშნები, რეგისტრირებული დადგენილი წესით. აქვს ანგარიში ან/და საბანკო ანგარიშები.

### მუხლი 3. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. საზოგადოების საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს:

- ა) ქალაქ ახალციხეში არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;
  - ბ) ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოებისა და დამფუძნებლის ინტერესებს;
2. იმ საქმიანობის წარმოებისათვის რომლებიც ექვემდებარება ლიცენზირებას/ნებართვის გაცემას, საზოგადოება ვალდებულია მიიღოს ლიცენზია/ნებართვა კანონით დადგენილი წესით.

### მუხლი 4. დამფუძნებლის უფლებები და მოვალეობები

1. საზოგადოების დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია.

2. დამფუძნებელს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში, ამ წესდებითა და "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით;
  - ბ) კონტროლი გაუწიოს საზოგადოების საქმიანობას;
  - გ) საზოგადოების მოგებიდან მიიღოს 100%-იანი წილი;
  - დ) გაეცნოს საზოგადოების საქმიანობას და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების მიერ წარმოებული დოკუმენტაცია;
  - ე) მოსთხოვოს ხელმძღვანელს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება;
  - ვ) განკარგოს საზოგადოების ბალანსზე რიცხული ქონება.
  - ზ) ამტკიცებს საზოგადოების სტრუქტურას, საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს, შეაქვს ცვლილებები მასში;
- 4.3. დამფუძნებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ზედამხედველობა გაუწიოს საზოგადოების მიერ ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის დადგენილი მოთხოვნების შესრულებას;

### მუხლი 5. საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საზოგადოების დირექტორი:

- ა) ერთპიროვნულად ახორციელებს საზოგადოების მართვას წესდების შესაბამისად და პირადად აგებს პასუხს მის შედეგებზე;
- ბ) წარმოადგენს საზოგადოებას. მინდობილობის გარეშე განკარგავს საზოგადოების ქონებას წესდებისა და დამფუძნებლის გადაწყვეტილების შესაბამისად;
- გ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, (ხსნის ანგარიშებს ბანკში,) იღებს სესხებს დამფუძნებელთან შეთანხმებით;
- დ) სამუშაოდ იღებს და ათავისუფლებს საზოგადოებაში დასაქმებულ პირებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;
- ე) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის, სტანდარტებისა და ნორმების დაცვას;
- ვ) დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღეს კეთილსინდისიერად, ის უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.



თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

3. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, დირექტორის მიერ შეთანხმებული უნდა იქნას დამფუძნებელთან.

#### მუხლი 6. საზოგადოების საქმიანობის კონტროლი

საზოგადოების საქმიანობას აკონტროლებს დამფუძნებელი ამ წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.


#### მუხლი 7. საზოგადოების რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია


საზოგადოების რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### მუხლი 8. წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

  
/-----/ (დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი, ხელმოწერა)



(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი,

გიორგი კობახიძე